ხელშეკრულება №16/10/6
საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16 ოქტომბერი 2018 წელი

„ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV 79810000)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის (2017 წლის 29 დეკემბრის №01-152 ბრძანებით) თავმჯდომარის მოადგილის გიორგი შარაბიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „ირიდესი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ სურმავას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული ნიმუშების შესაბამისად დაბეჭდოს და შემსყიდველს გადასცეს საარჩევნო ბიულეტენები, შემდგომში „მომსახურება", ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. შესყიდვის საორიენტაციო მოცულობაა 148მმX420მმ ზომის 499 772 (ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდას სამოცდათორმეტი) ცალი და 148მმX210მმ ზომის 6500 (ექვსი ათას ხუთასი) საარჩევნო ბიულეტენი.

1.3. ბიულეტენების დასაბეჭდ ოფსეტის ქაღალდს მიმწოდებელს გადასცემს შემსყიდველი.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 50 432.20 (ორმოცდაათი ათას ოთხას ოცდათორმეტი ლარი 20 თეთრი) ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასია: ბიულეტენების ბეჭდვა ზომით 148მმX420მმ – 0.1 ლარი და ბიულეტენების ბეჭდვა ზომით 148მმX210მმ – 0.07 ლარი.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მომსახურების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.4. დაკვეთის შემსრულებელი საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 63-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პირადად აგებს პასუხს, რომ დაბეჭდილი და შემსყიდველისათვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა ზუსტად შეესაბამებოდეს დაკვეთილ რაოდენობას, რომ მასთან არ დაიბეჭდოს და არ გავრცელდეს ზედმეტი ბიულეტენები.

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება დროული, ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

4.3. გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5. მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ბიულეტენების მიწოდება დაასრულოს არა უგვიანეს 2018 წლის 26 ოქტომბრისა

5.2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელზე, მისამართი: ქ. თბილისი, ექვთიმე ხელაძის ქ. 27

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარე, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისთვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისთვის დაგვიანებით მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.4 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

10.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის 11.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. კონტროლს ახორციელებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით დანიშნული პირები.

12.2. შემოწმების შედგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზის მითითებით.

12.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12.4 ხელისმომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13..2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13..3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

<u>„შემსყიდველი"</u>
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივ. მე-13კმ
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: (995 32) 2510051
სახელმწიფო ხაზინა
ანგ №200122900; კოდი: 220101222

გიორგი შარაბიძე
თავმჯდომარის მოადგილე

<u>„მიმწოდებელი"</u>
შპს "ირიდესი"
ქ. თბილისი, ექვთიმე ხელაძის ქ. 27
საიდენტიფიკაციო კოდი: 205260714
ს/ს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. №GE43TB1926236020100005

მალხაზ სურმავა
დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი

16 ოქტომბერი 2018 წელი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შპს „ირიდესი“ - სგან მიიღო ბეჭდვითი მომსახურება, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტესეთა კონფლიქტს.

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი — გიორგი შარაბიძე

თავმჯდომარის მოადგილე

კონტროლის განმახორციელებელი პირი — ხათუნა სხირტლაძე

კომისიის წევრი

კონტროლის განმახორციელებელი პირი — ზურაბ ხრიკაძე

კომისიის წევრი